საჯარო სამართლის იურიდიული პირი გრიგოლ წულუკიძის
სამთო ინსტიტუტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 20

ქ. თბილისი 25 მარტი 2020 წ.

საქართველოში ახალი კორონა ვირუსის (COVID 19) შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტა"-ს გენერალური დირექტორის №21 (18.02.2016) ბრძანებით დამტკიცებული სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის წესდების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „ღ" ქვეპუნქტის, „საგანგებო მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 ბრძანების, და სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტა"-ს გენერალური დირექტორის 2020 წლის 23 მარტის №79 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მიღებულ იქნას ცნობად და საფუძვლად შესრულებისთვის სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტა"-ს გენერალური დირექტორის 2020 წლის 23 მარტის №79 ბრძანება.

2. სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტა"-ს გენერალური დირექტორის 2020 წლის 23 მარტის №79 ბრძანების პირველი პუნქტის შესრულებაზე პასუხისმგებლობა დაეკისროთ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებს.

3. დაევალოს ადამიანური რესურსების და საქმისწარმოების სამმართველოს უფროსს ვერიჩკა მაჭარაშვილს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან ერთად უზრუნველყოს სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტა"-ს გენერალური დირექტორის 2020 წლის 23 მარტის №79 ბრძანების პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული ქმედების განხორციელება.

4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს დირექტორის მოადგილეს სამეცნიერო ნაწილში თამაზ ახვლედიანს.

5. ბრძანება გაეცნოს ინსტიტუტის ყველა თანამშრომელს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6).

დირექტორი ნიკოლოზ ჩიხრაძე